



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

**საქართველოს სახალხო დამცველი
მინდობით აღზრდისა და
რეინტეგრაციის
სახელმწიფო ქვეპროგრამების
რეგულირების შესახებ**

ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას,
ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისათვის
არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს,
სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დხმარების უფლება აქვს”
(გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია (CRC) მუხლი 20(1))

რა არის მინდობით აღზრდის ძვეპროგრამა?

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა ბავშვზე ზრუნვის ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმაა, რომელიც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფუნქციონირებს, მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან და გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახის მიერ არასრულწლოვნის მოვლასა და აღზრდას.

რა სახის მინდობით აღზრდის ძვეპროგრამები არსებობს?

მინდობით აღზრდის ძირითადი ტიპი არანათესაური მინდობით აღზრდაა, თუმცა ბენეფიციართა ნაწილი ჩართულია ნათესაური, გადაუდებელი (ბავშვის გადაუდებელი მინდობით აღზრდაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა) და სპეციალიზებული მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში.

ვინ შეიძლება იყოს მინდობით აღზრდის ძვეპროგრამის ბენეფიციარი?

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მინდობით აღსაზრდელად გადაეცა მიმღებ ოჯახს. ასევე, მინდობით აღსაზრდელს, რომელიც მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყო 18 წლის ასაკის მიღწევასა, შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მომზადების პროგრამის, პროფესიული გადამზადების პროგრამის ან სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მსმენელი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შეუძლია მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყოს სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევასა.

ვინ შეიძლება იყოს მიმღები ოჯახი?

დედობილი/მამობილი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც სურს არასრულწლოვნის მინდობით აღზრდა (მათ შორის, გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში), რომელმაც მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად გაიარა ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის მიერ მოსამზადებელი კურსი და რეგისტრაციის მიზნით მიმართა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

306 იღვას გადაწყვეტილებას ბავშვის მინდობით აღზრდაში ჩართვის შესახებ?

არასრულწლოვნის მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს (შემდგომ - რეგიონული საბჭო) მიერ მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებებისა და არასრულწლოვნის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობების თაობზე ჩატარებული კვლევისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დებულება არ ეხება გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევებს.

როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ბავშვის მინდობით აღზრდაში ჩართვის შესახებ?

არასრულწლოვნის მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სოციალური მუშაკის დასკვნა თავსებადობის შესახებ. დასკვნის მომზადებისას, დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: ბავშვისა და მიმღები ოჯახის თავსებადობა სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან; არასრულწლოვნის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის აუცილებლობა; ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა ოჯახში ბავშვების რაოდენობა (არ უნდა აღემატებოდეს ოთხს; გამონაკლისი დაიშვება მინდობით აღსაზრდელი დედამიწვილების ერთად განთავსების შემთხვევაში); 10 წელს მიღწეული არასრულწლოვნის თანხმობა ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით; და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორების დაუშვებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს; მინდობით არსაზრდელისა და დედობილს/მამობილს შორის ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინება (არანაკლებ 16 წლისა).

აღნიშნული დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ახდენს შეთავაზებას დედობილისთვის/მამობილისთვის ბავშვის მინდობით აღსაზრდელად. გამონაკლისია გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევა. ამ უკანასკნელში ბავშვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე იღებს სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული გადაუდებელი რეაგირების ოქმის საფუძველზე.

ხელშეკრულება ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ

ხელშეკრულება ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ უნდა მოიცავდეს: ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს; დედობილის/მამობილის უფლებებსა და მოვალეობებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ასევე, მინდობით აღსაზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს; მხარეთა პასუხისმგებლობას; ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული პენეფიციარის უფლებები

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარი სარგებლობს საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტებით განმტკიცებული უფლებებითა და თავისუფლებებით. მინდობით აღსაზრდელ ბავშვებს უფლება აქვთ დაცულნი იყვნენ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან, შრომითი ექსპლუატაციისგან, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან, გააჩნდეთ უსაფრთხო და ფიზიკური/გონებრივი განვითარებისთვის საჭირო სააღმზრდელო პირობები, ჰქონდეთ რეგულარული ურთიერთობა ბიოლოგიურ ოჯახთან, ხელი მიუწვდებოდეთ ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე.

მიმღები ოჯახის მოვალეობები

მიმღებ ოჯახს მინდობით აღსაზრდელის მიმართ აკისრია შემდეგი მოვალეობანი: იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად; შეუქმნას მინდობით აღსაზრდელს ნორმალური ოჯახური გარემო; აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ; ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის ურთიერთობას მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან; იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად.

მიმღები ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის რეგულირება

მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები იფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მინდობით აღზრდისთვის მიღებული ფულადი სოციალური დახმარების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, არანათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვისთვის - თვეში 480 ლარს, ხოლო სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში

განთავსებული განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის - 900 ლარის ოდენობით; ნათესაურ მინდობით აღზრდაში ჩართული ჯანმრთელი არასრულწლოვნისთვის - თვეში 200 ლარის, ხოლო განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის 375 ლარის ოდენობით. გადაუდებელი მინდობით აღზრდის შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე სახელმწიფო თვეში 600 ლარს იხდის.

რა მოვალეობები გააჩნია სახელმწიფოს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვთა მიმართ?

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შემომწმებაზე, ასევე, მიმღები ოჯახის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თავისი ვალდებულების შესრულების მიზნით, ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსებიდან ერთი თვის განმავლობაში, არანაკლებ კვირაში ერთხელ სოციალური მუშაკი ვალდებულია, განახორციელოს ვიზიტი მიმღებ ოჯახში წინასწარი შეთანხმებით ან შეთანხმების გარეშე და შეისწავლოს ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა. ბენეფიციარის აღსაზრდელად გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ, სოციალური მუშაკი მიმღებ ოჯახში ვიზიტს ახორციელებს არანაკლებ თვეში ერთხელ, სააგენტოსა და მინდობით აღზრდელის ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ სოციალური მუშაკი გამოავლენს მინდობით აღსაზრდელისთვის საზიანო გარემოს, იგი ამზადებს დასკვნას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ რეგიონულ საბჭოზე წარსადგენად.

რა არის რეინტეგრაციის ქვეპროგრამა?

რეინტეგრაციის ქვეპროგრამა გულისხმობს რეგიონული საბჭოს გადამწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან დაბრუნებას. რეინტეგრაციის პროცესში უნდა მოხდეს ოჯახის სოციალური ფუნქციონირების ამძლეობა, მისი გაძლიერება და ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობაში დაბრუნების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

ვინ შეიძლება იყოს რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვი?

რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში შეიძლება, ჩაერთოს არასრულწლოვანი, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში, მათ შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში.

როგორი ორგანოებია უფლებამოსილი რეინტეგრაციის პროცედურის განხორციელებაზე?

რეგიონული საბჭო: ა) სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განიხილავს ბავშვის რეინტეგრაციის საკითხს და იღებს გადანყვეტილებას მის ბიოლოგიურ ოჯახში, შესაძლო მეურვესთან/მზრუნველთან დაბრუნების/განთავსების შესახებ; ბ) იღებს გადანყვეტილებას რეინტეგრაციის შემნეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლების ან შეწყვეტის შესახებ.

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო: თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ყველა ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის, შესაძლო მეურვის/მზრუნველის გამოვლენას, მათ შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას და რეინტეგრირებულ ბავშვთა მდგომარეობის მონიტორინგს.

სოციალური მუშაკი: ა) აფასებს სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვს, მის ბიოლოგიურ ოჯახსა და სოციალურ გარემოს; ბ) შეიმუშავებს რეინტეგრაციის განხორციელებისთვის სათანადო რეკომენდაციებს და წარუდგენს რეგიონულ საბჭოს; გ) შეიმუშავებს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას; დ) რეინტეგრაციის შემდეგ ხელს უწყობს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას; ე) აწარმოებს შემთხვევის მართვას, მონიტორინგსა და დოკუმენტირებას.

ბავშვის რეინტეგრაციის შესაძლებლობის განსაზღვრის პროცედურები

ბავშვის რეინტეგრაციაზე მუშაობა უნდა დაიწყოს მის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების დღიდან. სოციალური მუშაკი არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ აფასებს სპეციალიზებულ დანესებულებაში/მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში განთავსებული ყველა ბავშვის რეინტეგრაციის შესაძლებლობას. შეფასების შედეგად, დადებითი დასკვნა გაიცემა ბიოლოგიური ოჯახის, შესაძლო მეურვის/მზრუნველის მიერ ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეინტეგრაცია მოცემულ ეტაპზე ვერ ხორციელდება, სოციალური მუშაკი აგრძელებს რეგულარულ მუშაობას, როგორც სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთან, ასევე, მის ბიოლოგიურ ოჯახთან, ოჯახის გაძლიერებისა და მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, რათა ხელი შეეწყოს არასრულწლოვნის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების პროცესს.

ბანკინგის ინდივიდუალური განვითარების გეგმა

ინდივიდუალური განვითარების გეგმა არის სოციალური მუშაკის მიერ სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვისა და მისი მშობლის, შესაძლო მეურვის/მზრუნველის, ასევე მის ოჯახში მცხოვრები სხვა პირების მონაწილეობით შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც აისახება ბავშვის ზრუნვაში ჩართული თითოეული პირის პასუხისმგებლობები და დროში განერილი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ფიზიკური/გონებრივ განვითარებასა და მის უსაფრთხო რეინტეგრაციის ხელშეწყობას. ინდივიდუალური განვითარების გეგმა, ასევე, ასახავს ოჯახის გაძლიერების ამოცანებს. ინდივიდუალური განვითარების გეგმა მტკიცდება რეგიონული საბჭოს მიერ.

რა თავისებურებებით ხასიათდება ხელშეკრულება ბავშვის რეინტეგრაციის შესახებ?

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონული საბჭო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული არასრულწლოვნის რეინტეგრაციის შესახებ ბავშვის მშობელს, მეურვე/მზრუნველსა და სააგენტოს შორის სამი წლის ან სამ წელზე ნაკლები ვადით ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე იდება რეინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფარგლებში ბავშვი უზრუნველყოფილია რეინტეგრაციის შემწეობით, განურჩევლად მისი ბიოლოგიური ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, სოციალური მუშაკი საჭიროდ მიიჩნევს ოჯახისთვის ხელშეკრულების გაგრძელებას, იგი შესაბამის დასკვნას წარუდგენს რეგიონულ საბჭოს.

რეინტეგრაციის შემწეობის დანიშნისა და გაცემის წესი

რეინტეგრაციის შემწეობა ენიშნება რეინტეგრირებულ ბავშვს, ხოლო მისი გაცემა წარმოებს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელზე. რეინტეგრაციის შემწეობა გაცემა ყოველთვიურად ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით. რეინტეგრაციის შემწეობა შეადგენს 100 ლარს ჯანმრთელი ბავშვისთვის, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარისთვის - 160 ლარს.

რინტეგრირებადი ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის უფლებათა-მოვალეობები

რინტეგრირებული ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს რინტეგრაციის შემწეობა; ბ) დამატებით მიიღოს არაფულადი სარგებელი ან/და სხვა ფულადი გასაცემელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; გ) ისარგებლოს რინტეგრირებული ბავშვის სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ ყოფნისას ბავშვის სახელზე გახსნილ საანაბრე ანგარიშზე არსებული სოციალური პაკეტის თანხით.

რინტეგრირებადი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს რინტეგრირებული ბავშვისათვის საზიანო პირობების შექმნის შესახებ; ბ) რინტეგრირებული ბავშვის ცხოვრებაში მომხდარი შემდეგი ცვლილებების შესახებ აცნობოს სააგენტოს ფაქტის გამოვლენიდან 5 დღის ვადაში: საცხოვრებელი ადგილის ან საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლა; ცვლილებები ოჯახის შემადგენლობაში; მატერიალური მდგომარეობის გაუარესება; ბავშვისათვის შშმ სტატუსის მინიჭება/გაუქმება; ამასთან, კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სოციალური მომსახურების სააგენტოს: ა) რინტეგრირებული ბავშვთან 3 თვემდე ვადით განშორების შესაძლებლობის შესახებ; 1 წლამდე ვადით რინტეგრირებული ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ გასვლის ან ამ ვადით მასთან განშორების შესაძლებლობის შესახებ; კანონიერი წარმომადგენლის მიზეზით რინტეგრირებული ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან 3 თვემდე ვადით განშორების შესაძლებლობის არსებობის შესახებ. კანონიერი წარმომადგენელი ასევე, ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები და გაუწიოს მას სათანადო მზრუნველობა.

როგორ ხდება რინტეგრაციის შიშის შეფასების მართვა და მონიტორინგი?

ბავშვის რინტეგრაციიდან ერთი თვის განმავლობაში, არანაკლებ კვირაში ერთხელ, სოციალური მუშაკი აწარმოებს ოჯახში ვიზიტს წინასწარ შეთანხმებით ან შეთანხმების გარეშე, ბავშვის კეთილდღეობის შეფასების, ოჯახის საჭიროებების დადგენისა და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულების ხელშეწყობის მიზნით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, სოციალური მუშაკი ვალდებულია, ოჯახში ვიზიტი განახორციელოს მინიმუმ თვეში ერთხელ, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე.

სოციალური მუშაკი მონიტორინგს უწევს რეინტეგრირებული ბავშვის აღზრდის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, განვითარების, განათლების დამისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოვალეობების შესრულების საკითხს. ამასთან, სოციალური მუშაკის ფუნქციაში შედის ბავშვის კანონიერ წარმომადგენელისათვის კონსულტაციის გაწევა რეინტეგრაციასა და ოჯახის გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვის უფლებათა დასაცავად - როგორ მივმართოთ სახალხო დამცველს?

ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნულის განხორციელებისთვის აპარატში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი, რომელიც ახდენს არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სახალხო დამცველის აპარატისათვის მიმართვის უფლება აქვს, როგორც საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ არასრულწლოვანს რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლებები ან/და ძირითადი თავისუფლებები, ასევე, ნებისმიერ მესამე პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ბავშვის უფლებების/ძირითადი თავისუფლების სავარაუდოდ დარღვევის შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განეული სასახური უფასო დახორციელება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – საპატრულო პოლიციის ცხელი ხაზი – „112“
სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტო – ცხელი ხაზი – „1505“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – ცხელი ხაზი – 0322 20 02 20

სახალხო დამცველის ოფისები

თბილისი

- 📍 დავით აღმაშენებლის გამზირი N150
- ☎ სადღეღამისო ცხელი ხაზი 1481

გორი

- 📍 სამების N1
- ☎ 0370 27 05 49
- ☎ 551 66 14 77

ბათუმი

- 📍 დუმბაძის N10
- ☎ 0422 27 60 32
- ☎ 577 50 52 31

გუგდიდი

- 📍 მერაბ კოსტავას N58
- ☎ 0415 22 36 11
- ☎ 595 52 53 56

გემო სვანეთი

- 📍 მესტია, სეტის მოედანი N19
- ☎ 591 50 82 62

ახალქალაქი

- 📍 ილია ჭავჭავაძის N4
- ☎ 0362 22 32 83
- ☎ 591 96 88 82

ოზურგეთი

- 📍 ილია ჭავჭავაძის N14
- ☎ 0496 27 30 53
- ☎ 599 49 48 59

მარნეული

- 📍 შოთა რუსთაველის N 51
- ☎ 0357 22 19 70
- ☎ 595 52 53 57

თელავი

- 📍 სააკაძის მოედანი N1
- ☎ 0350 27 99 27
- ☎ 591 88 35 38

ქუთაისი

- 📍 შოთა რუსთაველის N18
- ☎ 0431 25 33 50
- ☎ 577 55 33 81

სახალხო დამცველის სადღეღამისო ცხელი ხაზი:

1481



წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

www.ombudsman.ge

info@ombudsman.ge

www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia/

თბილისი, 2019